№ 6 9 თებერვალი 1873 9 თებერვალი № 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მერვე

გაზეთის ფასი:

	გაგზავნით,			გაუგზავნელად		
ერთის წლისა	— 6	მან.	კაპ.	5	მან.	კაპ.
ნახევრის წლისა	3	»	»	2	»	»
სამის თვისა	— 1	»	75	1	»	50
ერთის თვისა	— »	»	60	»	»	50
ცალკე ნომერის	— »	»	12	»	»	10

განცხადებანი, «დროებაში» დასაბეჭდათ, მიიღება სხვა და სხვა ენებზე. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივის ასოებით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით—ასოზე 1/4 კაპ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში (გ. წერეთლის და ამხ. სტ.-მ.-ბაში, ბებუთოვის სახლებში).

ქუთაისში: გერასიმე კალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში).

გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты ВРЕМЯ» при типографіи Г. Церетели.*

გამოდის კვირაში ერთხელ, ხარჯსკეობით.

შინაარსი:

რედაქციის განცხადება.—საქართველო: ჩვენი თავმოყვარეობა,— წერილი ამბები.— «დროების» კორრესპონდენტია: შორაპნის მაზრიდან,—სვანეთიდან.—რუსეთი: პეტერბურგიდან («დროებ.» კორრეს.)—უცხო ქვეყანები: საფრანგეთი — პარიკიდან («დროებ.» კორრეს.)—ესპანია,— შეტია. ნარკვი.— კერძო-ობითი და ბიბლიოგრაფიული განცხადებანი.

ამა 1873 წ. ხელის-მოწერა «დროებაზე»

მიიღება თფილისში—«დროების» რედაქციის კანტორაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში.

ქუთაისში—გერასიმე კალანდარიშვილთან და ს. მესხთან.

უეზდებში «დროების» აგენტებთან.

ხელ-მოსაწერი ფასი

	აგზავნით.		გაუგზავნ.	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
ერთის წლისა —	6	»	5	»
ნახევარის წლისა	3	»	2	50
სამის თვისა —	1	75	1	50
ერთის თვისა —	»	60	»	50

ახალ ხელის-მომწერლებს უმორჩილესად ვთხოვთ, თავიანთი ადრესი გარკვევით დაწერილი გამოგვიგზავნონ და აგრეთვე შეგვატყობინონ ყოველთვის, როდესაც საცხოვრებელ ადგილს გამოიცვლიან.

ვთხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მოწერის ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე გამოგვიგზავნონ.

საქართველო

ჩვენი თავმოყვარეობა

მგონი, «დროების» რედაქციას ვერავინ ვერ შესწამებს, რომ ჩვენს ცხოვრებაში და ხალხში ის მუდამ ცუდ მოვლინებებს ეძებდეს და ამჟღავნებდეს,—ვერავინ ვერ შესწამებს, რომ ის მაინცა და მაინც მხოლოთ ამ ცუდი მხარეების ჩვენებას შესდგომოდეს და რომელსამე კარგსა და სასიამოვნო მოვლენას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდეს. რომ საჭარო იყოს, ჩვენ შეგვეძლო ბევრი ისეთი მაგალითების მოყვანა, რომელნიც ამტკიცებენ, რომ «დროება» დიდის სიამოვნებით და თითქმის აღტაცებით ნიშნავს ჩვენს ცხოვრებაში ისეთს მოვლინებებს, რომელნიც მართლა რომლისამე მხრით ყურადღების ღირსნი და სასიამოვნო მოვლინებანი არიან. შეიძლება ესთქვათ, რომ ხანდისხან ეს აღტაცება ერთობ მომეტებული და აჩქარებულიც ყოფილა: ხანდისხან იქნება ისეთს მოვლენაზე გამოგვეცხადებინოს აღტაცება და ისეთი რამე ჩაგვეთვალოს ჩვენ საზოგადო მნიშვნელობის მქონეთ, რომელიც მაგდენათ ღირსიც არ ყოფილა საზოგადო ყურადღებისა და თანაგრძნობისა. მაგრამ რედაქციას ამ შემთხვევაში, თავის აზრით, საფუძვლიანი მიზეზები ჰქონია.

მაშასადამე მკითხველს არავითარი უფლება არა აქვს სთქვას, რომ «დროება» ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ ცუდ მხარეებსა სჩხრეკსო და საქვეყნოთ ამჟღავნებსო. ესეც რომ იყოს, მაგდენათ გასამტყუნებელი არ იქნება.

აი, დღესაც, ჩვენ გვსურს ერთს ისეთს ჩვენი ხალხის სამწუხარო მხარეზედ მოვილაპარაკოთ, რომელიც ღირსია საზოგადო გაკიცხვისა და რომლისთვისაც, იმედია, მკეთხველი არ დაგვემდურება: ჩვენ გვინდა ესთქვათ რამდენიმე სიტყვა ჩვენს თავმოყვარეობაზედ და ზოგიერთ ისეთს ქცევაზედ, რომელსაც ქვეყანა თავის-დამცირებასა და ხან უპატიოსნებას ეძახის.

ამბობენ, რომ ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაში ერთი დრო ყოფილა, როდესაც ჩვენს ხალხს ნამდვილი თავ-მოყვარეობა ჰქონია და, თუ საჭირო ყოფილა, თავის ღირსების დაცვაც სცოდნია. ამბობენ, რომ ძველად, რომელიმე უბრალო ჯილდოსათვის, ამაყი ქართველი არაკოდეს არ დაიმცირებდა თავს და თავის სამშობლო ქვეყნისა და რჯულის დასაცველათ კი მუდამ მზათ იყო თავის სიცოცხლე შეეწირაო. ერთის სიტყვით, ძველათ ქართველ ხალხს ისეთი ზნეობითი თვისებები და ხასიათი ჰქონია, რომელსაც ჩვენ «კეთილშობილურს» ვეძახით და რომლის შემწეობითაც ის ათასჯერ გადარჩენია უანგარიშო მტრისაგან დამცირებასა და შეურაცხყოფას.

როგორ გგონიათ, ეს თვისებები ეხლაც აქვს ჩვენ ხალხს, თუ არა? ეხლაც აქვს ქართველს ისეთი პატიოსნური თავ-მოყვარეობა და კეთილშობილური სიამაყე, თუ აღარ?

დიდის მწუხარებით უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენ ძლიერ ნაკლებათ ვნიშნავთ ამ დროინდელ ქართველებში ამისთანა ხასიათს. რაც დრო და ჟამი იდის, თან და თან ეტყობა, რომ ჩვენ ხალხს აკლდება თავმოყვარეობა, აკლდება კეთილშობილური მიდრეკილება ხასიათისა და ემატება სულის სიმცირე და მხოლოთ საკუთარი თავისა (ანუ უკეთ ესთქვათ, კუჭის) მოყვარეობა. . . . . მიჩვენეთ, ვის ესმის ეხლა რიგიანათ თავმოყვარეობა? დამისახელეთ, ვის არ მიაჩნია თავმოყვარეობა თავის საკუთარი კუჭის გაძღომად?

. . . . . .

. . . . . .

არა მგონია, რომ ვისმე შეეძლოს ამჟამად რამდენიმე ამისთანა კაცის ჩვენება. თითქმის ყველას თავმოყვარეობა თავის კუჭის გაძღომად მიაჩნია და სიამაყე ხომ აღარც კი ესმისთ—რა არის. (სიამაყე ჩვენ მხოლოთ ჩვენი შთამომავლობით ტრაბახობად მიგვაჩნია.) ყველა მზათ არის, თავის მოძმეს სამარე გაუთხაროს, თუ კი იცის, რომ ამით თვათონ იმას რაიმე შეემატება. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

სამწუხარო მოვლინება არ არის ამისთანა ცვლილება ჩვენს ხალხში?

ღმერთმა ინებოს, რომ ამისთანა ზნეობისა და ხასიათის კაცები ისე მალე განქრობილიყვნენ ჩვენში, რომ ამ საზიზღარ საგანზე ჩვენ მკითხველთან მეორეთ აღარ დაგვჭირებოდეს ლაპარაკი...

ხ. მ.

ამ დღეებში მოგვიყვანია ერთი ჩვენებური ახალგაზდა სწავლულის თხზულება, რომელიც ქიმიის სპეციალურ საგანს შეეხება. წიგნს ჰქვია სახელად: «Матеріалы къ изученію группы Азобензида». ეს გამოკვლევა, როგორც ზევით ვსთქვით, დაწერილია ჩვენებური ქიმიკოსის, ვასილ პეტრიაშვილისაგან. ქიმიაში განვითარებული პირებისაგან გავიგონეთ, რომ ამ გამოკვლევით უფ. პეტრიაშვილს ახალი შეხედულება დაუდგენია იმ ქიმიური სხეულების შედგენილობაზე, რომელზედაც ეს გამოკვლევა დაწერილია.

***

ჩვენ მხოლოთ ეხლა ჩაგვივარდა ხელში ის ლექცია, რომელიც მეორე ჩვენებურ ახალგაზდა სწავლულმა, უფ. ალექსანდრე ცაგარელმა, წაიკითხა შარშან ს. პეტერბურღის ფილოლოგიურ საზოგადოებაში და რომელზედაც ჩვენ ერთხელ მოკლეთ ვაცნობეთ მკითხველებსა. ამ ლექციას ჰქვია სახელად: «ნათესაობა ქართულს ენასა და ინდო-ევროპიულ და ტურანულ ენებს შორის» (О предполагаемомъ сродствѣ грузинскаго языка съ индо-европейскими и туранскими языками). ამ ლექციაზე უფ. ცაგარელი ცდილობდა, ფილოლოგიურის დამტკიცებებით, დაერღვია გამოჩენილი მეცნიერის-ბოპის-აზრი, ვითომ ქართული და საზოგადოთ კავკასიური ენები ინდო-ევროპიული ენებისაგან წარმოსდგებიანო; შემდეგ ის ცდილობდა აგრეთვე დაერღვია მეორე აზრი, (რომელსაც მაქს მიულერიც ეთანხმება), რომ ვითომც კავკასიის ენები ტურანის ანუ ურალო-ალტაის თემს ეკუთვნიანო. ბოლოს უფ. ცაგარელი ასე ათავებს: «ამნაირათ, ჩემის აზრით, ქართულ ენას (და აგრეთვე სხვა კავკასიურ ენებსა) არა აქვს ნათესაობითი კავშირი არც ინდო-ევროპიულ და არც ურალო-ალტაის ენებთან. საფიქრებელია, რომ ქართული ენა, როგორც ბასკიური ენა ევროპაში, არის ნაშთი იმ მრავალი ენებისა, რომელნიც ერთ-დროს, სემიტების, არიებისა და ურალო-ალტაის თემის ხალხების მოსლვამდინ კავკასიაში, ძლიერ გავრცელებულნი იყვნენ.»

***

უკანასკნელი სამი წიგნი შარშანდელი «კრებულისა» დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ერთ წიგნათ. ეხლა მოგვეყავს მხოლოთ ამ წიგნების შინაარსი: რამდენიმე ხანა პოემისა «აჩრდილი» (თხზულება) ია. ჭავჭავაძისა. ძუნწი გმირი (თხზულება პუშკინისა) თარგმნილი თ. რაფიელ ერისთავისა. მავნე სულები (ამბავი მოსკვის ცხოვრებიდგან)-დ. ე. ჩვენი ცხოვრების ყვავილი (მოთხრობა) გ.—თლისა. ძველი მაგრისი (ლექსი) ჯ. ო. წულებზე (უქმი ტურისტის მოთხრობა) ი. დ. ერისთვისა. იმერეთის მეფის სოლომონის უკანასკნელი დღეები (ხაქარიაკეღოს ისტორიის ფასადები). ბაირონის გიაურიდგან (თარგმნილი) ფაზელისა. მეთექვსმეტე საუკუნე ევროპის განათლებისა ნ. ცხვედაძისა. ჩიტი (ლექსი) დ. მ-სა. მცირე ტომთა ენებზე—მ. ჰეტრიძისა. თფილისის გაოხრებაზე (ლექსი). ამ დროის ვითარება გ. წერეთლისა. ჩვენი მწერლობა (კრიტიკა) ნ. სკანდელისა.

***

ოზურგეთიდამ ჩვენ შემდეგი ამბავი მოგვიყვანია: «ოზურგეთის საზოგადოებამ «დროებიდამ» გაიგო, რომ ხონში და ახალციხეს ქალებისათვის უფასო შკოლა გახსნილა. ამ ამბავმა ჩვენი სეზოგადოებაც წააქეზა და ზოგიერთი პირები ძალიან მონდომებული არიან, რომ ოზურგეთშიაც გამართონ ქალებისათვის უფასო შკოლა. ამჟამად ამ კეთილსა და საესარგებლო საქმეს მხოლოთ ერთი დაბრკოლება აქვს: ჯერ საშუალება არ აღმოუჩენიათ. მაგრამ, როგორც ისმის, მსურველები იმდენი არიან, რომ თვითონ შაგირდებიც შეინახვენ ამ შკოლას, სწავლაში ფასი რომ გამოართვან. საჭიროა მხოლოთ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ სახლი და მასწავლებელი იშოვნოს ამ შკოლისათვის. მალე შეგატყობინებთ — რით გათავდება ეს საქმე.»

***

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი უცხადებს ამ გუბერნიის თავადაზნაურობას, რომ მომავალ 1 მაისს იქნება თფილისში აზნაურობის კრება გუბერნიის და უეზდების წინამძღომელთა და აგრეთვე სხვა თანამდებობის პირების ამოსარჩეველად.

***

დღეს თებერვლის 8-ს, თფილისის დიდ თეატრში იქნება ქართული წარმოდგენა. წარმომადგენელნი არიან ქართული სცენის მოყვარენი და ითამაშებენ ზ. ანტონოვის კომედიას—«მზის დაბნელებას.»

***

ამ თებერვლის თვიდამ დაწყებული თფილისიდამ ოზურგეთსა და ზუგდიდს ფოჩტა, პარასკევის მაგივრათ, ოთხშაბათობით იელის.

***

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით რკინის გზის გახსნის შემდეგ, ჩვენ ძალიან ხშირათ მოგვდის უეზდებიდამ ჩვენი ხელის-მომწერლების წიგნები, რომელშიაც ისინი აცხადებენ საყვედურს, რომ გაზეთი თავის დროზე არ მოგვდისო. ერთი ამათგანი ორ-პირიდამ გვწერს, რომ, «სანამ ეს ჩვენი რკინის გზა გაიხსნებოდა, მანამ თავის დროზე მომდიოდა გაზეთიო და რაკი ის გაიხსნა, მას აქეთ ორ-სას კვირას არც თქვენი და არც სხვა გაზეთები და წიგნები მომდისო» ჩვენ ბევრჯელ გვქონია ამაზე მკითხველებთან ლაპარაკი და გვითქვამს, რომ ამ დაგვიანებაში რედაქცია სრულიად არ არის დამნაშავე, რადგან ის ყოველთვის თავის დროზე აგზავავნის გაზეთს. მკითხველი თითონ მიხვდება—ვისი ბრალია ეს: ფოჩტის და რკინის გზის თუ ჩვენი. მაგრამ მაინც ვსთხოვთ ჩვენ მკითხველებს, დროზე შეგვატყობინონ, თუ ვისმე იმათგანს არ მოუვა გაზეთი, რომ ჩვენ მეორეთ გაუგზავნოთ იმათა.

«დროების» კორრესპონდენცია

შორაპნის მაზრა, 29 ივნვარი

ამას წინათ «დროებაში» იყო მოხსენებული, რომ შორაპნის მაზრაში ქურდობა და კაცის კვლელობა გახშირდაო. ამაებმა ეხლა იკლო, მადლობა ღმერთს. ცოტა სნეულებაც იყო გვალვის შემდეგ, მაგრამ ეხლა ამანაც იკლო. მაგრამ ეხლა ჩვენში გაჩნდა მეორე სენი: აშკარა ქურდობა და მოტყუება. ეს უბედურება ჩვენი ადვოკატებისაგან არის. ჩვენდა საუბედუროდ, აქ, ამ ჩვენ პატარა ქალაქში საშინლად გამრავლდა ადვოკატები. პატიოსნებას გეფიცებით, რომ ვერაფერი სენი ვერ მიაყენებს იმ გაჭირვებას ხალხს, რასაც ზოგიერთნი ისინი აყენებენ. რომელი წოდების კაცი არ ცდილობს ეხლა ადვოკატობას. ღმერთმა არ იცის, საიდამ ჩამოდიან, უახლოვდებიან ხალხს, პირველად ერთ ორ საქმეს სულ მუქთად იღებენ და დაიცვამენ სასამართლოში და ამით იმსახურებენ სვინიდისიანი ადვოკატის სახელს. ამისთანა მოხერხებით, შემდეგ, რასაკვირველია, მთხოვნელებს ბევრს იპოვნიან. განსაკუთრებით საწყალ გლეხებს ეძლევა ამათგან ზიანი; დაიჭერენ როშველსამე იმათგანს, რომელსაც საქმე აქვს, დაჰპირდებიან, რომ შენს საქმეს უთუოთ მოვიგებთო, თავიდამვე რამდენიმე მანეთს გამოართმევენ და ერთ რაღაცა უაზრო არზას დაუწერენ, რომელსაც სასამართლო უკან უბრუნებს. შემდეგ გაგზავნიან უეზდის სამმართველოში, თუ აქაც არ მიიღეს, ქუთაისში და ამ ნაირათ აწვალებენ და ათრევენ უმეცარს გლეხებსა... იმისთანა მომქმედ პირს რა გარჩევა აქვს ქურდ და მტაცებელ კაცებთან?

რასაკვირველია, ყველაზედ არ შეიძლება ეს სთქვას კაცმა, მაგრამ ზოგიერთები მართლა საქმეს აჭირვებენ. თუმცა ბევრი უბედურება ადგია გლეხებს ადვოკატებისაგან, მაგრამ უბედურება ის არის, რომ უმათოთაც არა გამოდის რა. ამას წინათ ერთი გლეხი კაცი მეორეს უჩივოდა და ადვოკატს დაეძებდა, მე მთხოვა ერთი კარგი ადვოკატის სწავლება. მე ურჩიე, თვითონვე დაეწყო საჩივარი. წავიდა და დაიყო საჩივარი მამასახლისთან. მამასახლისმა უარი უთხრა და გადასცა სოფლის მოსამართლეებზე. სოფლის მოსამართლეებმა განჩინება შეუდგინეს და გამოუცხადეს, რომ ჩვენ ვერ შეეხებით, რადგანაც ას მანეთს აღემატება შენი საჩივარიო, ეს უეზდის ნაჩალნიკის საქმეაო. მოვიდა უეზდის ნაჩალნიკთან და სთხოვა, მიშველე რამეო! უეზდის ნაჩალნიკმა უთხრა, მიროვი სუდის საქმე არისო. ახლა აქ შეიტანა საჩივარი. მაგრამ აქაც გამოუცხადეს, რომ სუდის საქმე არ არისო! მოვიდა ისევ ჩემთან და დაიწყო ყვირილი: ეს რა უბედურება არის, რომ არცერთმა არ მიმიღოვო. ქუთაისში წავალ, იქნება იქ რამე მეშველოსო!» წაკიდა საწყალი მტირალი და რა გაარიგა, არ ვიცი. არ დაიყენებს ადგოკატს, ამბა, რას იზამს!

ჩვენი საწყალი ყვირილა რაც შეუძლია წარმატებაში მიდის. შენობები თან-და-თან მატულობს; უკეთესი სახლები თანამდებობის პირთა ააშენეს. თანამდებობის აღსრულებას მათთვის არაფერი დაუშლია რა, ყურადღება ყველაფერზე კარგა აქვთ დაკავებული.

ამას წინათ აქუარ მომრიგებელ სასამართლოდამ ქაღალდებით ყუთი მოიპარეს და ორი კვირის შემდეგ ძროგამომტვრეული და ცარიელი უკანვე მოიტანეს.

ცოტა ხანშიდ ორსამ ადგილას ჰრისტიანებს აწესებენ ამ უეზდშიდ. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

შორ—ნელი.

ხვანეთიდამ

ერთი მიზეზი სვანების სიღარიბისა

მგონი, არცერთი ხალხი ისე ტყუილა დროს არ ატარებს, როგორც სვანი. სვანების მართალი და ტყუილი უქმები რომ საქმის დღეს შევადაროთ, მეტი თუ არა, ნაკლები არ გამოვა. ყოველ კვირაში სამი დღე: პარასკევი, შაბათი და კვირა სვანს უქმათ გადადებული აქვს. ამნაირათ სვანები სამ სარწმუნოების: თათრების, ურიების და ქრისტიანების უქმებს პატივს სცემენ! აქედამ იქნება ვინმემ ის დასკვნა გამოიყვანოს, რომ სვანები როდისმე თათრები ყოფილიყვნენ; მაგრამ, უეჭველია, მოსტყუვდება: სვანებში თათროობისა ერთი ბეწვის ოდენაც არა სჩანს რა. ესევე ითქმება შაბათზედაცა. რაც შეეხება კვირას, ის სვანეთში ინახება ისე, როგორც შაბათი ებრაელებში. სამწუხაროა ისაა, რომ ამ სამ დღის უქმობასაც არ სჯერდება სვანი! პარასკევს თანვე მუუმატებს და ხანდახან ხუთშაბათსაც. დაურჩა სვანს სამი დღე მუშაობისა, რომლის განმავლობაშიც სუსტად მუშაობს. ყოველ მართლ-მადიდებელ ეკლესიის დღესასწაულებსაც სვანი მოწიწებით უქმობს.

ფრთხილად უყურებს აგრეთვე თავის შეწირულ უქმებს, რომლების წყალობით სვანს . . . . . უნდა შველებოდა. ყველამ იცის, რომ უცოდინარი ხალხი ემონება მას, რისიც ეშინია. სვანი ყოველგვარ სნეულებას ღვთის რისხვად ხდის: . . . . . ყოველ სნეულებას სვანი სულიერად სთვლის, ასე რომ, იმის აზრით, თუ აწყენია რამე სნეულებას, საქმე ცუდათ მოუვა და თუ როგორმე ასიამოვნა, ახლაც მშვიდობით დასტოვებს და სხვისაც აღარ ესტუმრება.....სნეულების ძღვნათ სვანები რამოდენიმე დღეს შესწირვენ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ შეწირულ დღეს სვანი არ იმუშავებს. აქედამ სჩანს, რომ სვანს ამ მხრით სნეულებაც ზარალს აძლევს. ავათმყოფი უქმობამ ეღარ გამოიხსნა სიკვდილისაგან: ის მოკვდა, მაგრამ დანარჩენი ჯალაბობა შეწირულ დღეებს მაინც უქმობს.

1870 წელს ერთი შვეიცარიელი დადიოდა სვანეთში, რომელსაც ძლიერ უკვირდა ამნაირი ცხოვრება სვანებისა. «სვანეთში კი არა, მეუბნებოდა ეს მოგზაური,-სადაც ბუნება მდიდარია ყოველისფრით და ხალხიც ნასწავლია, იქაც მაგნაირ შრომით კაცი თავს ვერ ირჩენდა.» ზამთარში რომ იუქმოს სვანმა, კიდევ არაფერი, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ის უქმობს მაშინ, როცა—ასე ვსთქვათ—ბედნიერება კარზე ადგია. მკას სვანეთში აგვისტოში დაიწყებენ; დადგება თუ არა სექტემბერი, სვანი ყოველ დღე თოვლს მოელის. ამ დროს ყვითელი ქერი მკას თხოულობს. სვანმა იცის, რომ, თუ საუბედუროთ მოიღრუბლა, ან სეტყვა, ან თოვლი მოვიდა, ის ულუკმოთ დარჩება, მაგრამ მაინც გულ-ხელდაკრეფილი უყურებს ქერს. ესთქვათ, დღეს პარასკევია და ავდავრს აპირობს; სვანს რამდენიმე ყანა მოუმკავი აქვს. ის დარწმუნებულია, რომ, თუ მომკა, მისი საქმე კარგათ წავა, მაგრამ არა, მას გულში აქვს რაღაც ეშმაკური აზრი. დაღამდა. სვანი დაწვა, მაგრამ კი არ ეძინება, რადგანაც ცა მოღრუბლულია. გავიდა რამოდენიმე ხანი: სეტყვამ სახლის სახურავზე ცეკვა დაიწყო. მეორე დილას დაღონებული სვანი მიდის ქერისკენ, ხედავს ცარიელი ღერები აშვერილან. მარცვალი კი ისევ ყანაში დაბნეული, რომ გეგონება კაცს დაუყრიაო. ბევრს იცემს გულში, მაგრამ აბა ეს რას მოეხმარება. ამნაირათ დარჩა ის უსაზრდოოთ. შორს ის ვერსად მიდის, რადგანაც მთები თეთრი ტანისამოსით შეიმოსენ. სოფელში საყიდლად ვერ შოულობს, რადგანაც მარტო მისი ყანა კი არ გაუფუჭებია ავდარს, და თუ იშოვა, მამასისხლად. რაც რომ ნივთი ჰქონდა, სულ პურში მისცა.

მაგრამ ამას გარდა, ვინც კი სვანეთის ბუნებას შეხედავს, ის მაშინვე დარწმუნდება, რომ სვანებს ჯოგი ეყოლებათო. მაგრამ პირუტყვი აქ ძალიან ნაკლებათა ჰყავთ. რატომ? მიტომ რომ უქმათ არიან. გაზაფხულდება თუ არა, ბალახი სვანეთში მაშინვე გაიზდება. სვანი კი ამ დროს უსაქმოდ ზის შინ. სვანი რომ მაშინვე თიფვას დაიწყებდეს, ბევრ თივას შეინახავს საზამთროთ და უფრო ბევრ პირუტყეს არჩენს, რომლიდამაც ის გამდიდრდება. მაგრამ ამნაირათ არ იქცევა: იმას ერთი დღე აქვს დანიშნული და, თუ იმაზე წინ მოთიბა, ჰგონია, რომ ღმერთი უწყენს! აი, რამდენს ზარალს და სიღარიბეს აძლევს სვანს უქმობა და ცრუმორწმუნეობა. ეს არის, ჩემის აზრით, უმთავრესი მიზეზი ეხლანდელი ჩვენი სიღარიბისა...

მეორე დამაღარიბებელი ჩვენი ხალხისა იყვენ აქაური უკურთხი მღვდლები, ანუ, როგორც აქ ეძახიან, პაპები. ამ რამდენიმე წლის წინათ თითქმის პირველი ადგილი აქ ამ პაპებს ეჭირათ. მათ არ აწუხებდა არავისი შიში; თვითონ იყვენ მღვდელ-მთავარნიც და ბლაღოჩინიცა. პაპის შვილი უსათუოდ პაპა უნდა გაიზდარიყო, თუმც იმას არავითარი ღირსებაც არა ჰქონოდეს სასულიერო მაჰისა. ერთ საზოგადოებაში ხუთიდამ ოცდახუთამდე და ზოგან მეტიც პაპა იქნებოდა. მათში, რასაკვირველია, გარჩევა იყო, იყვენ იმისთანანი, რომელთაც ყოველგვარი თანამდებობის აღსრულება შეეძლოთ; ერიენ მათში ესრეთნიც, რომელთაც სუფრის პურის კურთხევის მეტი სხვა ვალდებულება არა ჰქონდათ, ასე რომ უფროს პაპას მღვდლის ხარისხი ეჭირა და უმცროსს კი დიაკვნისა. სუფრის მკურთხეველნი, ანუ დიაკვნები დიდ პატივს ცემდნენ უფროს პაპას, რომელიც დიაკვნისაგან მით განირჩეოდა, რომ ორჯელ ნაკურთხი უნდა ყოფილიყო, (რასაკვირველია რომ კანონიერი კურთხევა მათ არცერხელ არ ჰქონდათ მიღებული), დიაკონი კი მარტო ერთ კურთხევას მიიღებდა.

როგორც წინათ, ისე ახლაც აქაური საზოგადება პატიჟობს ამათ სხვა და სხვა სულის საქმის საჭიროებისათვის. ესთქვათ, რომ სვანს დღეს წირვა უნდოდა გადაეხადნა ავათმყოფისა ანუ მიცვალებულისათვის. უნდა წასულიყო იმ ეკკლესიაში, სადაც უფროსი პაპა ღალადებდა. პაპა შეიმოსებოდა სამღვდელო ტანისამოსით, ...

. . . . . .

. . . . . წირვის დროს ერთი დიაკონთაგანი პაპას ტრაპეზში ემსახურებოდა. სხვანი ჟამნს კითხულობდნენ და გალობას იტყოდნენ. საკინელი რამ იყო მათი წირვა და მათი ლოცვების კითხვა: «მამაო ჩვენოს» ჩვეულებრივი დაბოლოების მაგიერად, «ალერობის» ლოცვას იტყოდნენ. მგონი, არც ერთი წიგნი სამღთო წერილისა ისე არ დაურჩებოდათ, რომ თვითო სიტყვა არ ამოეჩხრიკათ. გალობის დროს ნამეტურ ხმამაღლა ყვიროდნენ, ...

. . . . . .

. . . . . .

.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნოებისა. პეპები თუ ხალხს ატყუებდნენ' ამაში, პაპებზე უფრო დანაშაულნი, მათი ხელის-დამსხმელნი არიან, რომელსაც ლეჩხუმში ღებულობდენ. ახლანდელი ჩვენის პაპების მამა-პაპები, როგორც გვიმტკიცებენ ხელნაწერი წიგნები, როდისმე მართლა მღვდლები ყოფილან, მაგრამ, სხვა და სხვა გარემოებისგამო, ისინი გადამდგარან სწორს გზას და თითქმის ყოველი ეკლესიის წესი თავისებურათ შეუცვლიათ და დაუმახინჯებიათ.

ბეჭარიონ ხვანი.

1873 წ. იანვრის 19.

რუსეთი

პეტერბურგიდამ

(«დროების» კორრესპონდენტი)

ახალი წელიწადი დადგა. . . . . დიდი და სასიხარულო ამ 1872 წ.—იყო გახსნა ქალების კურსებისა მედიკო-ხირურგიის აკადემიაში. ჩვენ საზოგადო ცხოვრებაში ეს ძალიან შესანიშნავი მოვლენაა. რამდენმა ბნელმა ღონემ დაიწყო ყვირილი, ამ კურსების გახსნაზე, რომ გაიგო!. «ცოლებს და ქალებს გვირყვნიანო,» შემოსძახა მეშჩერსკიმ თავის გაზეთში «გრაჟდანინში. «ქალებს ფიზიოლოგიას და ანატომიას ასწავლიანო. ეხლა წახდა ქვეყანა. ეხლა გადაბრუნდებიან ჩვენი მამა-პაპები საფლავშიო!» ყვიროდნენ ზოგიერთები.

მაგრამ მანამ დრომდინ თავს დავანებებ ამ ჭკუით დაბნელებულს კაცებსა და ორ-სამს სიტყვას გეტყვით ამ ახალ გახსნილ ქალების კურსებზე.

ეხლა იქ სწავლობს 86 ქალი სხვა-და-სხვა რჯულისა და ქვეყნისა. რასაკვირველია, უფრო მეტი რუსები არიან. ჩვენებურები: არც ქართველნი და არც სომხები აქ არ არიან. პროგრამმა ამ სასწავლებლისა თითქმის იმოდენია, როგორიც მედიცინის აკადემიის სტუდენტებისათვის; მარტო ზოგი და ზოგი იმისთანა საგანი არის გამოშვებული პროგრამმიდგან, რომელიც მედიცინისათვის საჭირო არა ჰგონიათ. ამ პროგრამმას საუკუნოთ დაწერებულსაებ კი არ უნდა უცქიროს კაცმა: რასაც მომავალში დრო იმის დამწესებლებს უჩვენებს, იმას მიუმატებენ, ან დაუკლებენ; ეგრე, გიორგობის თვეში დრომ უჩვენა, რომ რიცხვი 70, რომელზედაც მეტი არ უნდოდათ მიღება, ცოტაოო და მართლაც ამას კიდევ 16 მიუმატეს. ორმოცს მეტს რომ ეგზამენი დაეჭირათ, სულ ორმოცსავე მიუმატებდნენ.

კურსი ოთხ წელიწადში თავდება; პირველს კურსში კითხულობენ თითქმის იმასვე, რასაც სტუდენტებს უკითხავენ, ზოგი იმათი პროფესორები ბევრათ სჯობიან სტუდენტების პროფესორებსა; მაგალითად, იმათი გისტოლოგიის პროფესორი, გოლუბევი ბევრით კარგათ კითხულობს უფალს ზავარიკინზე, სტუდენტების პროფესორზე. ეკრეთვე ფიზიკის მასწავლებელი და სხვანი.

უფრო სასიხარულო ის არის, რომ თითონ მოწაფეებმაც ძალიან გულს-მოდგინეთ მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს. იმათ თითონ კარგათ იციან, რა თვალებით უყურებს დიდი ნაწილი საზოგადოებისა იმათ სასწავლებელსა, და ცდილობენ, რომ დაუმტკიცონ ქვეყანას ქალების ნიჭიერობა ყველა საქმეში. როდესაც ეს ახალგაზდა სიცოცხლით სავსე ქალები, დალუნულნი არიან ან მიკროსკოპზე, ან რომელსამე საექიმო წიგნზე, ან დაუგდებთ ყურს იმათ მშვიდ, დინჯ ბაასს რამე საქმეზე, უთუოთ დარწმუნდებით, რომ ქალებიც იმისთანა ჭკუის კაცები არიან, როგორც ჩვენი ძმაკაცი.

რა განსხვავებას ხედავს ამის მნახველი ამ ქალებსა და ჩვენ კეკლუცებს შუა! პირველნი თავიანთ თავით და ხელებით იკვალავენ გზას ბედნიერებასთან და მეორეების ზრუნვა ერთია—მალე საქმრო მოიზიდონ და გათხოვდნენ; პირველნი სიცოცხლეში გონიერ იდეალთან ახლოვდებიან; მეორეებისათვის ეს იდეალი უცხოა, ეს იმათ სასაცილო ჰგონიათ. იმათი სიცოცხლე აბრეშუმის კაბებზე და ხაევრდის მოსასხმელებზე ბრუნავს.

ერთი სიტყვით, პირველნი არიან შვილნი გონებისა და სწავლისა და მეორენი მოდისა, კარგი ეპოლეტებისა და გძელი ულვაშებისა...

მეორე წიგნში პროგრამმაზე და იმ სასწავლებელში შესვლის პირობაზე უფრო დაწვრილებით მოგწერთ.

ნ. გორელი.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

პარიჟი, 29 იანვარს 1873.

(«დროებ.» კორრესპ.)

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ამ დღეებში შესდგა აქ კომმისია, რომლის პრეზიდენტათ ლუი ბლანი არის; ამ კომმისიამ შეადგინა პროექტი,-და დღეს 29 იანვარს სჯა არის ამ საგანზედ ნაც. კრებაში, რომ ფაბრიკებზედ მუშაობა ბავშვებსა და დედაკაცებსა შეუმსუბუქონ ჯამაგირის მოუკლებელად. ვინც კი იცის ფაბრიკის ცხოვრება, ის დააფასებს ღირსეულად ამ განზრახვის სიკეთესა. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც ერთი სწავლულის თხზულებაში შეეხვდი ამ ნაირ სიტყვებსა: «ბევრ ფაბრიკებზედ ოთხი წლის ბაშვებს რამდენსამე საათს ამუშავებენ დღეშიო.» მე მახსოვს, რომ რიცხვი სამუშაო საათისა ათზედ ნაკლები მაინც არ იყო დღეში! მაგრამ ეს კიდევ რა! გაიგონეთ, რას ამბობს მარკსი: «ინგლისის ფაბრიკებზედ მცხოვრებნი ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, რომ ორი წლის ნახევრის ბალღებს დაადგენენ სამუშაოზედ და რვა-ცხრა საათს დღეში ამუშავებენ. საბრალოთ, საჭმლის ჭმის დროც არა აქვთ და დედები შოშიასავით თავის ხელით უდებენ ბაშვებს პირში ლუკმასა, რომ არ ასცდნენ ისინი ხელთ-საქნარზედ. თითო ბაშვს იმდენი ჰეარი ერგება ამ საზარელ სადგომებში, რამდენი ჰაერიც დაეტევა ისეთ უჯრაში, სადაც ორი პატარა ბაშვი ძლივს ჩაეტევა.» უკანასკნელად, მოჰყავს მაგალითი ინგლისელი მუშის უმეცრებისა, ამ ნაირი: «ისეთი მუშა იპოვება ფაბრიკებზედ, რომელსაც არავითარი აზრი არა აქვს-ვინ იყო იესო ქრისტე? რომელ ქვეყანაში სცხოვრებს ის? ვინ არის ამ ქვეყნის უმფროსი და სხვა ბევრი.» . . .

. . . . . .

. . . . . .

—

რადგანაც ინგლისზედ დავიწყეთ ლაპარაკი, ბარემც გეტყვით იმასაც, რომ ეს ერთი ხანია ინგლისელი საზოგაოოება ძრიელ დაფეთებულია რუსების გალაშქრების თაობაზედ აზიაში. აქამდინ მიაუწია, რომ გაზეთებმა «საიდუმლო პირობაც» კი გამოქვეყნეს რუსებსა და სპარსელებ-შუა. მაგრამ სპარსეთის ელჩმა ლონდონში დაამშვიდა საზოგადოების მოძრაობა გამოცხადებით, რომ «ჩემს მმართებლობას არავითარი პირობა, შესახებ საშუალო აზიისა, არ მიუცია რუსებისთვისაო.» . . . . . .

. . . . . .

—

ამას წინეთ რესპუბლიკური გაზეთები ოხუნჯობდენ ბატბიზედა, რომელიც ცხარე მონარხისტია, აშნაირათ: «უ. როზენტალი-გამოჩენილი ევროპიელი ჯადრაკის მოთამაშე, მოვიდა პარიჟში და გამოამცხადა, რომ ოცდა რვა პარტიას ითამაშებს ერთსა და იმავე დროს და თითოეულს გასვლაზედ, თითო წამის მეტს არ იფიქრებს; ამბობენ მოწინააღდეგეთ რიცხვში უ. ბატბიც ჩაწერილა და, სასიამოვნო იქნებოდა «მისი ყურება, როგორ ეტყვის უ. ბატბი ქიშ მეფესაო!!! ეხლა, ეს ნიზლაობა გათავდა და როზენტალმა ოცდა ექვსი პარტია მოიგო.—წააგო მხოლოდ ორი. მიზეზი, რომელიც მაიძულებს ამ საგანზედ წერასა, არის ის, რომ ერთი ამ ორი პარტიისაგან მოიგო ჩვენი ქვეყნის კაცმა—თავად მინგრელსკიმ, როგორც მოგვითხრეს გაზეთებმა. ამბობენ, ჭანდრაკის ნიჭი ჭკუის ნიშანი არისო, მით უკეთესია! თუ მცა მე ბევრი წინააღმდეგი აზრისაც შემხვედრია.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

მე სხვებივით არ ვფიქრობ, რომ ჭანდრაკის თამაში საზრახი საქმე იყოს, მაგრამ ბევრად უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ რაიმე სამშობლოს სასარგებლო მოქმედებით გაითქომდენ სახელსა ჩვენი თავადები....

დ. მიქაჯაძე.

ესპანია

ტელეგრამმებმა გვაცნობეს, რომ ესპანიის კაროლმა-ამედეიმ უარ-ჰყო მეფობა, დატოვა სატახტო ქალაქი ესპანიისა და გამოეგზავრა იტალიისაკენ. რა იყო ამის მიზეზი? ნუ თუ თვითონ დონ-ამედოს მოსწყინდა მეფობა, ანუ ცხადათ დაინახა თავის უნიჭობა და უკუდგა მეფობისაგან! ნუ თუ ხალხს არა სურდა, რომ ესპანიაში ყოფილიყო რომელიმე მონარხი? თუ ეს ბოლონდელი აზრი მართალია, მაშ რათ მოიპატიჟეს კორტესებმა საწყალი ამედეი და ჩააგდეს ამ მდგომარეობაში? ჩვენ რომ განვიხილოთ უკანასკნელი დღეები ხალხის ცხოვრებისა და პოლიტიკურ აზრებისა ესპანიაში, ვპოვებთ ამის პასუხს. ხალხმა ვერ აიტანა იეზუიტების მფლობელობა, ვერ აიტანა ის ტანჯვა, რომელშიაც ჩააგდო იზაბელლამ, და 1868 წ. მოახდინა რევოლიუცია. ამ არეულობას ჯერ ჰქონდა სამხედრო ხასიათი; მერე თვითონ ხალხი მიუდგა ჯარს და ერთათ დასცეს იზაბელლას მმართებლობა. ესპანიაში გამოაცხადეს რესპუბლიკა და მმართებლობა ჩაიგდეს ხელში პრიმმა და სერრანომ რესპუბლიკის ფორმამ ვერ გასწია დიდი ხანი, დიდი წილი კორტესებისა იყვნენ მონარხიელები და იმათ უნდოდათ აღედგინათ მონარხია. რესპუბლიკელებმა დაინახეს თუ არა, რომ იმათი საქმე წაგებულია, აიღეს თოფ-იარაღი ხელში და გამოუცხადეს აშკარა ომი მმართებლობას; მაგრამ იმათ არ ჰქონდათ იმოდენა ძალა, არა ჰყავდათ კარგი წინამძღვრები, რომ დაეტანებინათ ძალა მმართებლობისათვის და დაემყარებინათ რესპუბლიკა. მონარხიული ფორმა იყო გამოცხადებული, სერრანო დანიშნეს რეგენტათ, მაგრამ თვითონ მონარხი კი არ იყო ამორჩეული. კონსერვატორებს, რომლის მხარე ეჭირა ტოპეტეს, უნდოდათ ამოერჩიათ გერცოგი ძონპანსიე, მაგრამ პრიმი და იმის მომხრეები იდგნენ დიდს უარზე, იმათ უნდოდათ, რომ მმართებლობა დარჩენლიყო იმათ ხელში; პრიმი ვერ ბედავდა მოეხდინა coup d' état, რომელიც მოახდინა ნაპოლეონმა საფრანგეთში, და არც უნდოდა დაეკარგა თავის მფლობელობა და ძალა. პრიმმა ისე გააწყო საქმეები, რომ მთელ ესპანიაში ჩინოვნიკები და სამსახურის პირნი იყვნენ იმის მომხრეები, უპრიმოთ ვერცერთი პირი ვერ გაბედავდა მიეღო მმართებლობა და დამჯდარიყო სამეფო ტახტზე.

დანიშნულ დროს შეიყარნენ კორტესები და პრიმმა წარუდგინა კანდიდატად ამედეი.

ორი წლის განმავლობაში პრიმმა შეადგინა დიდი პარტია, იმის მომხრეებს ეჭირათ უკეთესი ადგილები სამსახურში და იყვნენ იმისი მორჩილი ყმები: დალაქები, ლაქიები, მიკიტნები შეიქნენ ღენერლებათ, ღუბერნატორებათ და სხ. ღენერალი ბრასოლსი ადრე იყო უბრალო დალალი. პრიმის სურვილს და თხოვნას უარს ვერავინ ვერ გაბედავდა და ამედეი ამოარჩიეს ესპანიის კაროლათ. მაგრამ სანამ ახალი ესპანიის კაროლი მიიღებდა მმართებლობას და შესდგამდა ფეხს ესპანიაში, საჭირო კაცი პრიმი მოკლეს. როგორც ჩვენ ვხედავთ, თავიდანვე ბედმა უმტყუნა ამედეის; იმან მიიღო მმართებლობა ხელში იმ პირებისაგან, რომელნიც იყვნენ იმის ცხადი მტრები და რომელთაც არა სურდათ იმის არჩევა. ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ ამედეი ესე მალ-მალ იცვლიდა მინისტრებს, არ იცოდა, რომელ პარტიას დამყარებოდა. ტოპეტემ, რომელიც ხუთი დღე ითვლებოდა მინისტრების პრეზიდენტათ, დატოვა თავის ადგილი, რადგანაც ცხადათ ეჭირა მონპანსიეს მხარე. მმართებლობა ჩაიგდო ხელში ლიბერალმა საგასტამ; ეს იყო ერთი იმათგანი, რომელნიც პრიმის შკოლიდამ გამოვიდნენ.

ის არწმუნებდა მმართებლობას, რომ მალე საქმეები მიიღებენ კარგს მიმართულებას, რომ ამ უმაღლეს მდგომარეობიდამ დაცემა, როდესაც კაროლს ხელში უჭირავს ჯარი, ხაზინა და პოლიცია, შეუძლებელია. ამ დროს დანიშნული იყო ახალი არჩევა კორტესებისა. ყველა პარტიები ცდილობდნენ, რომ ამოერჩიათ პირნი, რომელთაც არ ჰქონოდათ მმართებლობის ნდობა და ყოფილიყვნენ იმის მტრები. მაგრამ საგასტამ იხმარა იმოდენა ძალა და ღონე, რომ დიდი ნაწილი ახალ ამორჩეული კორტესებისა იყვნენ მმართებლობის კანდიდატები. მაგრამ საგასტას მინისტრობამ ვერ გასწია ბევრი ხანი; რადიკალებმა და ნამდვილ რესპუბლიკელებმა შეჰკრეს კავშირი და პირ-და-პირ იძახოდნენ, რომ კაროლი არ არის ამორჩეული კანონიერათ. კაროლი ცდილობდა, რომ რადიკალები ყოფილიყვნენ იმის მხარეზე, რადგანაც ეს ერთი პარტია იყო, რომელსაც სურდა კონსტიტუციური მონარხია და არ აქცევდა ყურადღებას—ვინ იყო კოროლი, ბურბონი და თუ სხვა ვინმე. რადიკალების წინამძღოლი—ზორილია—გახდა მინისტრების პრეზიდენტათ. კაროლს ეგონა, რომ რადიკალებთან რესპუბლიკელებიც გადმოვლენ ჩემკენო, მაგრამ ამაში დიდათ მოტყუვდა: რესპუბლიკელები თავის რესპუბლიკურ აგიტაციას არა სტოვებდნენ, ისინი არ ჰკარგავდნენ იმედს რესპუბლიკის აღდგენისას.

შარშან თებერვალში უნდა მომხდარიყო ახალი ამორჩევა კორტესებისა. მმართებლობას ეშინოდა, რომ კორტესებში არ შეერიონ მმართებლობის წინააღმდეგნი პირნი და ამიტომ ხელ-მეორეთ მიიპატიჟა გამოცდილი კაცი საგასტა. საგასტამ მოიხმარა ამორჩევაში

თავის გამოცდილება და ძალა; ის არ უყურებდა რა გზით და რა საშუალობით იქნებიან ამორჩეულნი ახალი კორტესები; ის არ ზოგავდა არც ფულს, არც ძალდატანებას, არც ყალბობას. რესპუბლიკელებმა და კარლისტებმა დაინახეს თუ არა, რომ კანონიერი საშუალებით, რომელსაც ისინი ხმარობდენ, ვერ მოიშორებენ ამ მმართებლობას თავიდამ, მოჰყვეს ხელი თოფებს. მეორე მხრით ესპანიას აწუხებდა მონების არეულობა კუბის კუნძულზე. ამ მდგომარეობაში მმართებლობა მიუბრუნდა რადიკალებს. ზორილია შეიქნა კიდევ მინისტრების პრეზიდენტი. რესპუბლიკელებმა გამოაცხადეს, რომ იმათ კარლისტებთან არა აქვსთ ერთობა და ისინი ჯერჯერობით არ ებრძვიან მმართებლობას, თუ მმართებლობა მოახდენს სხვა-და-სხვა ლიბერალურ ცვლილებას. კარლისტები კი არ სტოვებდნენ თავიანთ თოფ-იარაღს. თუმცა მმართებლობა აცხადებდა, რომ კარლისტებს არა აქვსთ დიდი ძალა და იმათ აჯანყებას მალე მოუღებთ ბოლოსო, მაგრამ კარლისტები ყოველ დღე ემატებოდნენ და ძლიერდებოდნენ. ამ დროს შეერთებულ შტატებმა განუცხადეს ესპანიას, რომ ამას მოესპო მონობა კუბის კუნძულზე. ამედეი შეუდგა ამ საგანს და რამოდენიმე დღის განმავლობაში მმართებლობამ შეიტანა კორტესების ყრილობაში პროექტი მონების განთავისუფლებაზე.

მმართებლობის მტრებმა დაყარეს ხმა, რომ მონების განთავისუფლება ამერიკის ძალდატანებით და ბრძანებით მოხდაო, და ამ გვარი მოქმედებით მმართებლობა ამცირებს თავის თავს და ნაციის ღირსებასაო.

აი, რა მდგომარეობაში იყო კაროლი ამედეი. იმან ამოირჩია კეთილ-გონივრული გზა: უარჰყო მეფობა. ეხლა რა მოხდება ესპანიაში, ჩვენ ამას შევიტყობთ შემდეგში; მაგრამ, ჩვენის აზრით, შინაურული ომი აუცილებელია: რესპუბლიკელები არ მოინდომებენ კარლისტებს ჩაუგდონ ხელში მმართებლობა, და კარლისტები თავის მხრით იხმარებენ ძალას, რომ ომი განაგრძელონ.

— გუშინდელ «კავკაზიის» ნომერში დაბეჭდილია ტელეგრამმა, რომ თებერვლის 4-ს კაროლი ამედეი ლისაბონში მისულა. ესპანიის სატახტო ქალაქში, მადრიდში და პროვინციებში არეულობა არ არისო.

შვეცია

შარშან სექტემბერში გარდაიცვალა შვეციის კოროლი, კარლოს XV, რომელიც შვეციის ხალხს ძლიერ უყვარდა. იმის შემდგომ შვეციის ტახტზე ავიდა კარლოსის ძმა, ოსკარ, რომელმანც გასული იანვრის 20-ს პარლამენტის სხდომის გახსნის დროს წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა. მოგვყავს ამ სიტყვიდამ რამდენიმე ალაგი. ჯერ ოსკარმა თავის დინასტიის პირველს წარმომადგენელზე ნაპოლეონ პირველის ღენერალ — ბერნადოტზე — სთქვა რამდენიმე სიტყვა, რომლიდამაც სჩანდა, რომ იმას და აგრეთვე მემკვიდრეებსაც თავის მშვიდობიანის პოლიტიკითა და კეთილგონიერებით ჰსურდათ შვეციის ხალხის სიყვარული და თანაგრძნობა დაემსახურებინათ. «ჩვენი დინასტია დარწმუნდაო, სთქვა ოსკარმა, რომ შვეციას ეხლა აღარ შეუძლია ევროპის პოლიტიკაში ისეთი როლი ითამაშოს, როგორც გუსტავ ადოლფისა და კარლოს XII დროს თამაშობდაო. შვეცია აღარ ერევა ევროპიულ საქმეებში, ის მხოლოთ იმას სცდილობს, თავის შინაგანი საქმეები კარგათ გამართოს და თავის ხალხი კეთილდღეობამდი მიიყვანოს.» «მართალია, სთქვა შემდეგ კოროლმა, ჩვენ მშვიდობიანობა უფრო მოგვიხდება ომიანობაზე, მაგრამ, თუ ჩვენ ევროპის სახელმწიფოების დაიარაღებას და ომიანობისათვის მზადებას ვიქონიებთ მხედველობაში, მაშინ მივხვდებით, რომ საომრაო დამზადება და შვეციის გამაგრება ჩვენთვისაც აუცილებლათ საჭიროა. ჩვენს საუკუნეში, რომელსაც «რკინის საუკუნეს» ეძახიან, და რომელშიაც სამართლიანობის ნაცვლად ხშირათ ძალა მეფობს, ყველა ხალხი მზათ უნდა იყვეს, თავის თავისუფლება დაიცვას. გარეშე მტრების შესაშინებლად და მშვიდობიან ცხოვრების დასამყარებლად, ჩვენთვის საჭიროა მხოლოთ, რომ კარგა მხნე ჯარი გვყავდეს, ისეთი ჯარი, რომელიც მუდამ მზათ იქნება ჩვენი ქვეყანა მტრებისაგან დაიცვას.»

ნარევი

ამერიკის შეერთებულ შტატებში წელს პირველი გაზეთის დაარსებას იდღესასწაულებენ. პირველი გაზეთი კემბრიჯში (ინგლისში) დაარსებულა 1683 წელს და სახელად «მაისის ყვავილი» რქმევია.

***

თითოეული სახელმწიფოს მცხოვრებლებისა და გაზეთების რიცხვი რომ ერთმანერთს შევადაროთ, გამოვა, რომ რუსეთში ერთი გაზეთი — 350,000 მცხოვრებისათვის გამოდის, ოსმალეთში — 300,000 მცხოვრებისათვის, ვენგრიაში — 41,000, ფინლანდიაში — 39,000, იტალიაში — 29,000, საფრანგეთში — 23,000, ინგლისში, — 18,000, ჰოლანდიაში — 16,000, ბელგიაში — 15,000, შვეიცარიაში, — 5 600. და ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი გაზეთი 537 მცხოვრებისათვის გამოდის. აქედამ სჩანს, რომ ყველაზე უფრო ნაკლები გაზეთები რუსეთში გამოდის და ყველაზე მომეტებული ამერიკაში.

***

ინგლისიდამ ერთს საცინელს ამბავს იწერებიან. ამბობენ, ვითომც იქაურ იაპონიის ელჩს ეთქვას, რომ იაპონიის მიკადო (იმპერატორი) სამშობლო ენის მოსპობას აპირებსო და იმის მაგივრათ იაპონიაში ინგლისური ენა უნდა შემოიღოსო. გაზეთებს უკვირს ეს ამბავი. ერთი გაზეთი ამბობს, რომ ჯერ არ მომხდარა დედა-მიწაზე და შეუძლებელიც არისო, რომ, რომელიმე ბრძანებელის ნებით, 30 მილიონ ხალხს თავის სამშობლო ენა დაეტოვებინოს და უცხო ენაზე დაეწყოს ლაპარაკი და წერა-კითხვაო.

***

ამას წინეთ თფილისში ერთი შემთხვევა მოხდა: ერთი ყმაწვილი კაცი, რომელიც რუსეთის უნივერსიტეტში მიდიოდა, ჩაჯდა თურმე ჩვენი რკინის გზის ვაგონში. თან მიჰქონდა რამდენიმე ასი მანეთი. სტანციაზე იმას შეხვდა რამდენიმე სხვა ყმაწვილი კაცები, რომელთანაც ერთად ჩაჯდა ვაგონში. გზაზე ერთმა ამათთაგანმა უთავაზა იმას პაპიროსი. ყმაწვილმა მოსწია და იმ წამსვე დაეძინა. კაცმა არ იცის, რამდენ ხანს ეძინა, მხოლოთ გამოღვიძა თუ არა, ნახა რომ ყმაწვილი კაცები იმ ვაგონში აღარ იყვნენ; ეს კიდევ არაფერი: უბედურება ისაა, რომ იმას აღარ აღმოუჩნდა ჯიბეში არც ის ფულები, რომელიც მამამ გაატანა ამ ყმაწვილ კაცს საგზავროთ. ამბობენ, რომ ამ ავაზაკებმა ჯერ ბანგით გაკეთებული პაპიროზით დააძინეს ეს ყმაწვილი და მერე გაქურდესო.

***

ამ მოკლე ხანში, ამბობენ, ამაზე უფრო შესანიშნავი ავაზაკობა მოხდა ჩვენს ქალაქში; ეს ავაზაკობა მით უფრო შესანიშნავია, რომ ის მოახდინეს ქალებმა: ერთს ვიღაცა ქალს (ქუკიაში) თავის გადაკარგულ ქმრისაგან ოთხას მანეთამდი ფული მოსვლოდა. იმ დღესვე ამ ქალს რამდენიმე თავის ნაცნობი ქალები დაეპატიჟნა და კარგა ქეიფობა. სტუმრების წასვლის შემდეგ, ქალს დაეძინა. მაგრამ შუაღამეზე იმას თავს დასხმოდა ორი ჩერქეზულად ჩაცმული, მასკაში, და დაიარაღებული ავაზაკი და რაც ფულები ჰქონოდა, სულ წაერთმიათ და წასულიყვნენ. ქალის ბიჭს თვალ-ყური ედევნებია ამ ავაზაკებისთვის და პოლიციის მოხელესათვის შეეტყობინებია. პოლიცია თავს დასხმია იმათ და აღმოჩენილა, რომ ეს ავაზაკები გაქურდულ ქალის ნაცნობი ქალები ყოფილან, ის ქალები, რომელნიც იმ საღამოს იმასთან სტუმრათ იყვნენ... ესეც ახალი პერიოდი ავაზაკობისა...

განცხადებანი

ამ 1873 წელს

მნათობი

გამოვა იმავე მიმართულებით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

სხვათა შორის დამატებაში დაიბეჭდება ქართული ლექსიკონი თ. საბა სულხან ორბელიანისა და დონ-კიხოტის გაგრძელება.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ:

თბილისში — «მნათობის» რედაქციისაგან, რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზედ, არწრუნის სახლებში, (ზემო ეტაჟში).

ქუთაისში — გერასიმე კალადარაშვილისაგან.

სიღნაღში — რაჟდენ ციციშვილისაგან.

თელავში — ლევან ჯანდიერისაგან.

სურამში — ივანე ელიოზაშვილისაგან.

მნათობის ფასი:

მთელი წლისა — ყველა ალაგებში გაგზავნით — შვიდი მანეთი, ნახევარი წლისა ოთხი მანეთი.

გარეშე ხელის-მომწერთ მოთხოვნა უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Редактору журнала «Мнатоби».

პასუხის-მგებელი რედაქტორი ნ. ავალიშვილი.

გორში

ქართული წიგნები ისყიდება იოსებ ძამუკის დუქანში: კაცია, ადამიანი, — ფასი ათი შაური, ჩონგური (ლექსების კრება) ფ. ერთი მანეთი, დავითიანი (ლექსები დავით გურამიშვილისა) ფასი ათი შაური. წიგნი სიბრძნე სიცრუისა-ფ. ათი შაური. ისტორია საქართველოსი, თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულება, ფასი ერთი მანეთი.

მაქვს პატივი განუცხადო ქუთაისის პუბლიკას, რომ ამ დღეებში მივიღე შემდგომნი წიგნები: სამოსამართლო წესდებანი (Судебные уставы), სახელმძღვანელოები ყველა საგნებისა, ქართული წიგნები, როგორც საერო, აგრეთვე საეკკლესიო და ქართული და რუსული კალენდარები 1873 წლისა. წიგნები გაისყიდებიან ქუთაისის ღუბერნიის სტამბაში, ტფილისის ქუჩაზე ეზიკოვის სახლებშიდ.

სიმონ ჩოძახიძე.

ე. ვ. მამაცოვისა იყვანს შაგირდათ ქალებს და მუქთად ასწავლის ქალების ფეხსაცმელის კერვასა და წერა-კითხვას. დაწვრილებითი პირობის შესატყობელად მსურველს შემდეგი ადრესით შეუძლია მიმართოს: კუკიაში, რეუტის ქუჩაზე, ფილიპოვის სახლებში.

1873 წლის 1 იანვრიდამ სომხური გაზეთი «მშაკ» წელიწადში შვიდი მანეთის მაგიერათ ხუთ მანეთად ეღირება. ნახევარ წლის ფასი სამი მანეთია.

ხელის-მოწერა მიიღება გაზეთის-«მშაკის» რედაქციაში, რომელიც ყოველ-დღე გახსნილია დილის 9—11-მდი და საღამოს 5—7-მდი.

გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію газеты «МШАКЪ»*

ამ გაზეთში იბეჭდება განცხადებები: სომხურს, რუსულს, ქართულს, ფრანცუზულს, ნემეცურს და სხვა ევროპიულს ენებზედ. განცხადების ფასი ათ ჩვეულებრივ ასოზე 1 კაპეიკია.

განცხადება

«სასოფლო გაზეთის» გამოცემაზე

1873 წელს

მომავალს წელს «სასოფლო გაზეთი» გამოვა იმავე პროგრამით და რედაქცია ეცდება წასულ წლებზე უკეთ აასრულოს თავის მოვალეობა.

ხელის მოწერა «სასოფლო გაზეთზე» შეიძლება:

ტფილისში «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში გ. წერეთლის და კამპ. სტამბაში, ბებუთოვის სახლში ხანის ქუჩაზე.

ქუთაისში — გერასიმე კალანდარისშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ნ. ნიკოლაძის სახლებში სილაზე.

ტფილისსა და ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «Сельской Газеты,» на Ханской улицѣ. д. Бебутова.*

ხელმოსაწერი ფასი:

ერთი წლისა თფილისში და აგრეთვე სხვა ადგილებში	გაუგზავნელათ.	გაგზავნით.
— — — — — — — — —	3 მან.	4 მან.
ნახევარის წლისა — — — — — — — — —	1 მ. 50 კ.	2 მ.

ხელის მომწერლებს უმორჩილესათ ვსთხოვთ, თუ დაიბარებენ, გარკვევით შემოგვითვალონ თვისი სახელიგვარი და ადგილ-სამყოფი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 февраля 1873 г. გ. წერეთლის და ამხ. სტამბაში. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.